

საქართველოს სახელით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის

გადაწყვეტილება №2/4/1365

2019 წლის 20 სექტემბერი

ქ. ბათუმი

კოლეგიის შემადგენლობა:

თეიმურაზ ტულუში – სხდომის თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე;

ირინე იმერლიშვილი – წევრი;

მანანა კობახიძე – წევრი;

თამაზ ცაბუტაშვილი – წევრი.

სხდომის მდივანი: მარიამ ბარამიძე.

საქმის დასახელება: ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის №5196-რს კანონის მე-2 მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილენი: მოსარჩელე მხარის წარმომადგენლები – ვაჟა ხახუტაიშვილი და მიხეილ მიქანაძე; მოპასუხე მხარის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები – ქრისტინე კუპრავა და ბაჩანა სურმავა; მოწმე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი ნათია სონღულაშვილი.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 15 ნოემბერს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1365) მიმართა საქართველოს მოქალაქე ბადრი ბეჟანიძემ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 მარტის №2/5/1365 საოქმო ჩანაწერით კონსტიტუციური სარჩელი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად. №1365 კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის სხდომა გაიმართა 2019 წლის 4 აპრილს.

2. №1365 კონსტიტუციურ სარჩელში საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის საფუძვლად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15, მე-16 და მე-18 მუხლები.

3. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის №5196-რს კანონით (შემდგომში: „სადავო კანონი“) სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა რიგი ცვლილებები, მათ შორის, ახლებურად ჩამოყალიბდა არაერთგზისი დანაშაულის ცნება და განისაზღვრა, რომ „არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზისი დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში“. სადავო კანონის მე-2 მუხლი არეგულირებს ზემოხსენებული წესის დროში მოქმედების საკითხს და ადგენს, რომ „ამ კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილის მოქმედება არ ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირმა ბოლო ქმედება ჩაიდინა კანონის ამოქმედების შემდგომ“.



4. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულია სამართლის წინაშე თანასწორობის უფლება. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, „კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“.

5. მოსარჩელე მხარის განმარტებით, სადავო კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ცვლილება შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველ ნაწილში და შეიცვალა არაერთგზისი დანაშაულის საკანონმდებლო დეფინიცია. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად ახლებურად ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევ პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ხსენებული ცვლილებების განხორციელებამდე კი პირის ნასამართლობის ფაქტს დანაშაულის არაერთგზისობისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა.

6. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მოსარჩელე მსჯავრდებულია სადავო კანონის ამოქმედებამდე ორჯერ განზრახ მკვლელობის ჩადენისათვის. ამასთან, ორივე განზრახ მკვლელობის ეპიზოდი ერთი განაჩენის საფუძველზე შეეფარდა. 2007 წლის 4 ივლისის №5196-რს კანონით გათვალისწინებული ცვლილებების ძალაში შესვლის მიუხედავად, საერთო სასამართლო მოსარჩელის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენში დაეფუძნა დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობას და მოსარჩელის ქმედება დაკვალიფიცირდა, მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, როგორც განზრახ მკვლელობა ჩადენილი არაერთგზის. მოსარჩელეს სასჯელის სახედ განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

7. მოსარჩელის პოზიციით, დანაშაულის არაერთგზისობა ყველა შემთხვევაში ქმედების დამამძიმებელი გარემოებაა და, შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსი არაერთგზისი ჩადენილი დანაშაულისათვის ითვალისწინებს ბევრად უფრო მკაცრ სასჯელს. სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლის 4 ივლისის განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ქმედების არაერთგზისი დანაშაულად დაკვალიფიცირების აუცილებელი პირობა გახდა ნასამართლევ პირის მიერ იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. არაერთგზისობის ცნებაში ნასამართლობის ელემენტის შემოტანით შემცირდა იმ პირთა წრე, ვის მიერ ჩადენილი ქმედებაც შესაძლოა დაკვალიფიცირებულიყო არაერთგზისი დანაშაულად. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის მიერ ჩადენილი დანაშაული შეფასდებოდა 2007 წლის 4 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, მისი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდებოდა არაერთგზისი ჩადენილ დანაშაულად, რადგან იგი არ ყოფილა იმავე ქმედებისათვის წინათ ნასამართლევ პირი. აღნიშნული კი გამოიწვევდა მისთვის შედარებით მსუბუქი სასჯელის დაკისრებას.

8. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსარჩელე მხარემ მიუთითა, რომ არაერთგზისი დანაშაულის საკანონმდებლო დეფინიციასთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, სადავო კანონის მე-2 მუხლის მოქმედების პირობებში, უკუძალით არ გავრცელდა მოსარჩელის მიერ ჩადენილ ქმედებაზე. ზემოხსენებული კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, გამოირიცხება ახალი საკანონმდებლო რეგულაციის უკუძალით გამოყენება მოსარჩელის მსგავს კატეგორიაში მყოფი პირების მიმართ, მაშინაც კი, თუ ეს იწვევს მათთვის დაკისრებული პასუხისმგებლობის ზომის შემსუბუქებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადებით განმტკიცებულ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გავრცელების პრინციპს.

9. მოსარჩელე მიუთითებს, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული მოწესრიგება ასევე ეწინააღმდეგება თანასწორობის უფლებას. მისი მტკიცებით, თანასწორობის უფლებასთან მიმართებით შესადარებელი ჯგუფები არიან, ერთი მხრივ, მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფი სუბიექტები, რომლებსაც რამდენჯერმე განზრახ მკვლელობის ჩადენისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრათ განზრახ მკვლელობის არაერთგზისი ჩადენის კვალიფიკაციით, იმის მიუხედავად, რომ ნასამართლევ არ იყვნენ წინათ ჩადენილი ქმედებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, პირები, რომლებმაც სადავო ნორმის ამოქმედების შემდეგ რამდენჯერმე ჩადინეს განზრახ მკვლელობა ისე, რომ არც ერთისთვის არ ყოფილან ნასამართლევნი და მათი ქმედება დაკვალიფიცირდა დანაშაულთა ერთობლიობით, რისთვისაც კანონმდებლობით დადგენილია შედარებით მსუბუქი სასჯელი. მოსარჩელე მიუთითებს კიდევ ერთ შესადარებელ ჯგუფს: მის მდგომარეობაში მყოფ პირებს, რომელთა ქმედებაც დაკვალიფიცირდა არაერთგზისი დანაშაულად და იმ პირებს, რომლებსაც სადავო ნორმის ცვლილებამდე ჩადენილი ჰქონდათ ერთი მუხლით გათვალისწინებული რამდენიმე დანაშაული, ხოლო ცვლილების ამოქმედების შემდეგ კვლავ ჩადინეს იგივე დანაშაული და მათი ქმედება შეფასდა როგორც დანაშაულთა



ერთობლიობა. მოსარჩელის პოზიციით, ზემოხსენებული პირები იდენტური უმართლობის ჩადენის გამო არსებითად თანასწორი სუბიექტები არიან. სადავო ნორმებით დადგენილი დიფერენცირება იწვევს დასახელებული სუბიექტების მიერ სხვადასხვა დროს ჩადენილი დანაშაულის განსხვავებულ სამართლებრივ შეფასებას და განსხვავებული სიმკაცრის სასჯელის დაწესებას.

10. მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ თავდაპირველად, სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის არაერთგზისობის ცნების შემუშავებისას კანონმდებელს სურდა, აღნიშნული კვალიფიკაცია დაკავშირებული ყოფილიყო ნასამართლევი პირის მიერ იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენასთან. თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლი 2007 წლის 4 ივლისის ცვლილებებამდე იძლეოდა არაერთგზისობის ცნების ბუნდოვან განმარტებას. ხსენებული მუხლის პირველი ნაწილით არაერთგზისობა განიმარტებოდა როგორც ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა, იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა პირი წინათ ნასამართლევი ამ ქმედებისათვის, თუმცა მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებდა, რომ დანაშაული არ ჩაითვლებოდა არაერთგზის ჩადენილად, თუ მისი ჩამდენი პირი გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა ნასამართლობა. მოპასუხის განმარტებით, 2007 წლის 4 ივლისის განხორციელებული ცვლილებების განმარტებითი ბარათიდან ნათლად იკვეთება, რომ კანონმდებელს სურდა, დაეზუსტებინა არაერთგზისობის ცნება და აღმოეფხვრა სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველ და მე-2 ნაწილს შორის არსებული წინააღმდეგობით გამოწვეული ბუნდოვანება.

11. მოპასუხის პოზიციით, ამა თუ იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელი უნდა იყოს ამ ქმედებიდან მომდინარე რისკის პროპორციული. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლის მიერ მოხდა არაერთგზისობის ცნების დაზუსტება, არ შეცვლილა ამ ქმედებიდან მომდინარე საშიშროება და საფრთხის ხარისხი. მოპასუხე მხარის განმარტებით, კანონმდებლის მიერ არაერთგზისობის ცნების დაზუსტება ან რაიმე დანაშაულისათვის დაწესებული სასჯელის შემცირება, *a priori*, არ გულისხმობს, რომ ამ ცვლილებებამდე არსებული სასჯელის ზომა იყო ქმედებისა და მისგან მომდინარე საშიშროების არაპროპორციული. მოსარჩელის კატეგორიაში მყოფი პირების მიერ განხორციელებული ქმედება 2007 წლის 4 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგაც ინარჩუნებდა ზუსტად იმავე ხარისხის საფრთხეს, რაც ამ ქმედების განხორციელების დროს ჰქონდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა მიზანშეწონილად არ ჩათვალა ამ პირთა მიერ ჩადენილ ქმედებაზე ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილების გავრცელება. შესაბამისად, მოპასუხე მხარემ სადავო ნორმის ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზნად დაასახელა პირისათვის იმგვარი სასჯელის დაკისრების უზრუნველყოფა, რომელიც პასუხობს მის მიერ ჩადენილი ქმედების საშიშროების ხარისხს და განაპირობებს პირისათვის ადეკვატური სასჯელის დაკისრებას.

12. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2007 წლის 4 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებების უკუძალით გავრცელებას ადრე ჩადენილ ქმედებებზე, შესაძლოა, უფრო მეტად დაემძიმებინა პირთა მდგომარეობა და მათ მიმართ გამოტანილი ყოფილიყო უფრო მკაცრი სასჯელი. კერძოდ, ზემოხსენებული ცვლილების შემდეგ, ნასამართლეობის არმქონე პირთა მიერ ჩადენილი ერთი მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული დაკვალიფიცირდებოდა არა როგორც არაერთგზისი დანაშაული, არამედ დანაშაულთა ერთობლიობა. ამასთანავე, ამ პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლი დანაშაულთა ერთობლიობის დროს ითვალისწინებდა სასჯელთა სრულ ან ნაწილობრივ შეკრებას. შესაბამისად, არსებობდა იმის ალბათობა, რომ დანაშაულთა ერთობლიობისას პირისათვის შეფარდებული სასჯელი იქნებოდა უფრო მკაცრი, ვიდრე ანალოგიური ქმედების არაერთგზის დანაშაულად კვალიფიკაციის შემთხვევაში.

13. მოპასუხე მხარემ ასევე აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი, მართალია, კრძალავს ქმედების დანაშაულებრიობის დამდგენი ან სასჯელის დამამძიმებელი კანონის უკუძალით გავრცელებას, თუმცა არაერთგზისობის ცნების ცვლილება არ ნიშნავს არც ქმედებისათვის დანაშაულებრიობის დაწესებას და არც თავისთავად იწვევს სასჯელის გამკაცრებას. შესაბამისად, რომ არა 2007 წლის 4 ივლისის №5196-რს კანონის მე-2 მუხლში გაკეთებული დათქმა კანონის უკუძალით გავრცელების აკრძალვასთან დაკავშირებით, არსებობდა რისკი, რომ იგი გავრცელდებოდა ამ ცვლილების ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე, გამოიწვევდა მათ გადაკვალიფიცირებას დანაშაულთა ერთობლიობად და სასჯელის სრული ან ნაწილობრივ შეკრების პრინციპიდან გამომდინარე, პირთა გარკვეული კატეგორიისათვის, უფრო მკაცრი სასჯელის დაკისრებას. ხსენებულიდან გამომდინარე, მოპასუხე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმის კიდევ ერთი ლეგიტიმური მიზანი იყო სწორედ აღნიშნული რისკის თავიდან აცილება, რათა არ მომხდარიყო პირთა



სამართლებრივი მდგომარეობის საუარესოდ შეცვლა.

14. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნებს და არ უნდა იქნეს არაკონსტიტუციურად ცნობილი.

15. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოწმედ მოწვეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის, ნათია სონღულაშვილის განმარტებით, მართალია, დანაშაულის არაერთგზის ჩადენა დამამძიმებელი გარემოებაა, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა სასჯელთა სრულად ან ნაწილობრივ შეკრებას, ქმედების დანაშაულთა ერთობლიობად დაკვალიფიცირებას, არაერთგზისობასთან შედარებით, შესაძლოა, გამოეწვია უფრო მძიმე სასჯელის დაკისრება. ამასთანავე, მოწმემ არ გამორიცხა ისეთი შემთხვევების არსებობაც, როდესაც 2007 წლის 4 ივლისის №5196-რს კანონის უკუძალით გავრცელებას და პირთა მიერ ჩადენილი ქმედების არა არაერთგზისობად, არამედ – დანაშაულთა ერთობლიობად დაკვალიფიცირებას, გამოეწვია მისთვის სასჯელის შემსუბუქება.

16. მოწმე დაეთანხმა მოპასუხის არგუმენტაციას სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლთან დაკავშირებით და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული პრინციპი კრძალავს ახალი ქმედების დანაშაულებრიობის დაწესებას ან უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენებას. თუმცა დანაშაული დაკვალიფიცირდება არაერთგზისობად თუ დანაშაულთა ერთობლიობად, პირდაპირ არ არის დაკავშირებული არც ქმედების დანაშაულებრიობის დაწესებასთან და არც სასჯელის შემცირება/გამკაცრებასთან. შესაბამისად, მოწმის მოსაზრებით, რომ არა 2007 წლის 4 ივლისის №5196-რს კანონის მე-2 მუხლის ჩანაწერი ამ კანონის უკუძალით გავრცელების აკრძალვასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის საფუძველზე ვერ გამოირიცხებოდა ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილების წარსულ ურთიერთობებზე გავრცელების და პირთა გარკვეული კატეგორიის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესების რისკი.

II

სამოტივაციო ნაწილი

1. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო კანონის მე-2 მუხლი ეწინააღმდეგება სამართლის წინაშე თანასწორობისა და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გავრცელების კონსტიტუციურ უფლებებს. შესაბამისად, დავის გადაწყვეტა მოითხოვს სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებას სხვადასხვა შინაარსის კონსტიტუციურ დებულებებთან მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის კონსტიტუციურობას თითოეულ კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით ცალ-ცალკე შეაფასებს.

1. სადავო ნორმის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით

1.1. დაცული სფერო

2. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არ აქვს. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს კანონის დროში მოქმედებასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ სტანდარტებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „საქართველოს კონსტიტუცია ... ადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და გამაუქმებელი კანონის უკუძალით გავრცელებისთვის კონსტიტუციურ საფუძველს. მართალია, ის არ ბოჭავს ხელისუფლებას ისეთივე აბსოლუტური, უპირობო ვალდებულებით, როგორსაც წარმოადგენს ... პასუხისმგებლობის დამდგენი ან დამამძიმებელი კანონის უკუძალით გავრცელების აკრძალვა, მაგრამ, ნამდვილად, დამატებით ზღუდავს სახელმწიფოს თავისუფალი მიხედულების ფარგლებს პრინციპით – არ მოხდეს ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა მაშინ, როდესაც ამის აუცილებლობა არ/აღარ არსებობს და იმაზე უფრო მკაცრად, ვიდრე ეს ობიექტურად აუცილებელია კონკრეტული ლეგიტიმური მიზნების დასაცავად“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-71). „როდესაც საზოგადოება და



შესაბამისად, სახელმწიფო მივა იმ დასკვნამდე, რომ ესა თუ ის ქმედება თავისი არსით არ წარმოადგენს ისეთი საზოგადოებრივი საშიშროების მქონე ქმედებას, რომლისთვისაც პირები უნდა დაისჯონ ან რომ დაკისრებული პასუხისმგებლობა კონკრეტული ქმედებისთვის ზედმეტად, არაადეკვატურად მკაცრია და მომეტებულად ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას, ვიდრე ეს აუცილებელია კონკრეტული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, შესაბამისად, როდესაც ხდება ქმედების დეკრიმინალიზაცია ან სასჯელის შემსუბუქება, საფუძველი ეცლება გარკვეული დროით ადრე ჩადენილი იგივე ქმედებისთვის პასუხისმგებლობის ან უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრებას. ადამიანებს უნდა შეეძლოთ, ისარგებლონ საზოგადოების და სამართლის განვითარების, პროგრესული, ჰუმანური აზროვნების პოზიტიური შედეგებით. პირმა პასუხი უნდა აგოს რეალურად საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენისთვის, ამასთან, იმ წესითა და ფარგლებში, რაც ობიექტურად აუცილებელი და საკმარისია კონკრეტული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნების მისაღწევად“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგამე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-64).

3. ამასთან, „პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი კანონის უკუძალით გამოყენების შესაძლებლობისთვის მხედველობაშია მისაღები, რამდენად არის ის კავშირში უშუალოდ სამართლის ჰუმანურობის ფუნქციასთან და ადამიანის თავისუფლებაში თანაზომიერი ჩარევის აუცილებლობის მიზანთან, რათა პირების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ მოხდეს უსაფუძვლოდ, რაც ასევე ეწინააღმდეგება სამართლის მოთხოვნებს. სწორედ სამართლის/კანონის ფუნქციების თანაზომობა და მათი მიზნების თანაზომად დაცვა განაპირობებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გავრცელების დასაშვებ ფარგლებსა და შინაარსს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგამე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-66). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადება ადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გამოყენების ვალდებულებას, მაშინ როდესაც ახალი კანონის მიღება ნაკარნახევია საზოგადოების ჰუმანიზმით ან ცვლილებამდე არსებული სასჯელის ზომის საჭიროების არარსებობით.

1.2. სადავო ნორმის შინაარსი

4. განსახილველ საქმეზე სადავოდ არის გამხდარი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის №5196-რს კანონის მე-2 მუხლის კონსტიტუციურობა. აღნიშნული ნორმა აყალიბებს ცვლილებებისა და დამატების კანონის გარდამავალ დებულებას და აწესრიგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის შეცვლილი რედაქციის დროში მოქმედების საკითხს. კერძოდ, ნორმა მიუთითებს, რომ სადავო კანონით გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლში განხორციელებული ცვლილება არ ვრცელდება მის ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბოლო ქმედება ჩადენილია კანონის ამოქმედების შემდგომ.

5. სადავო ნორმით გათვალისწინებული წესის და მისგან მომდინარე შეზღუდვის იდენტიფიცირებისათვის მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის ცვლილებამდე არსებული და ცვლილების შედეგად ჩამოყალიბებული რედაქციების შინაარსის ანალიზი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლი განსაზღვრავს არაერთგზისი დანაშაულის ცნებას. თავის მხრივ კი, დანაშაულის არაერთგზისი ჩადენა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობის დამამძიმებელ გარემოებად არის გათვალისწინებული.

6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის 2007 წლის 3 აგვისტომდე მოქმედი რედაქციის (შემდგომში – „თავდაპირველი რედაქცია“) თანახმად, არაერთგზისი დანაშაულად მიიჩნეოდა ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა. სადავო კანონით სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით შეიცვალა არაერთგზისი დანაშაულის ცნება. სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის 2007 წლის 3 აგვისტოდან მოქმედი რედაქციის (შემდგომში – „შეცვლილი რედაქცია“) მიხედვით, არაერთგზისი დანაშაულად განისაზღვრა წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. ამდენად, ცვლილების განხორციელების შემდეგ დანაშაულის არაერთგზისად კვალიფიცირებისათვის გაჩნდა დამატებითი



კრიტიკრიუმი – დანაშაული უნდა იყოს ჩადენილი იმავე მუხლით განსაზღვრული დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ, ანუ დავიწროვდა სუბიექტთა წრე. შესაბამისად, რიგი ქმედებები, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თავდაპირველი რედაქციის თანახმად, არაერთგზის დანაშაულად მიიჩნეოდა, 2007 წლის 4 ივლისის ცვლილებების შემდეგ აღარ კვალიფიცირდება არაერთგზის დანაშაულად.

1.3. უფლების შეზღუდვა

7. როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადებით გარანტირებულია პირის უფლება, მის მიმართ უკუძალით გავრცელდეს პასუხისმგებლობის გამაუქმებელი და შემამსუბუქებელი კანონის მოქმედება. ამავე დროს, უკუძალით გამოყენების უფლება ვრცელდება ყველა იმ საკანონმდებლო აქტზე, რომელიც იწვევს სასჯელის შემსუბუქებას ან სასჯელისგან გათავისუფლებას და რომლის მიღებაც ნაკარნახევია საზოგადოების ჰუმანიზმით ან ცვლილებამდე არსებული სასჯელის ზომის საჭიროების არარსებობით.

8. სადავო ნორმით იზღუდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის შეცვლილი რედაქციის უკუძალით გავრცელება სადავო კანონის ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, იწვევს თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის შეცვლილი რედაქციით გათვალისწინებული არაერთგზისი დანაშაულის განმსაზღვრელი წესი პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ან გაუქმებას და არის თუ არა აღნიშნული ცვლილება განპირობებული საზოგადოების ჰუმანიზმით ან ცვლილებამდე არსებული სასჯელის ზომის საჭიროების არარსებობით.

9. როგორც აღინიშნა, სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველ ნაწილში განხორციელებული ცვლილება იწვევს რიგი დანაშაულების კვალიფიკაციის შეცვლას. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თავდაპირველი რედაქციის მოქმედების პირობებში ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, ვინც პირველი დანაშაულისათვის ნასამართლევი არ ყოფილა, ჩაითვლებოდა არაერთგზისად, შეცვლილი რედაქციის პირობებში კი კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობად (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის ერთობლიობა გულისხმობს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას, რომელთაგან პირი არც ერთისთვის არ ყოფილა მსჯავრდებული).

10. არაერთგზისობა რიგ დანაშაულებთან მიმართებით განსაზღვრულია როგორც დამამძიმებელი გარემოება. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განზრახ მკვლელობის არაერთგზის ჩადენა ითვალისწინებს უმკაცრეს სასჯელს, მათ შორის, უვადო თავისუფლების აღკვეთას. შესაბამისად, იმ პირის ქმედება, რომელმაც სადავო ნორმის საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედებამდე ორჯერ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა (ისე, რომ პირველი განზრახ მკვლელობისთვის არ ყოფილა ნასამართლევი) კვალიფიცირდება არაერთგზის მკვლელობად, ხოლო პირის ქმედება, რომელმაც ხსენებულ დანაშაულთაგან ერთ-ერთი ჩაიდინა სადავო ნორმის ამოქმედების შემდეგ, კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობად.

11. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის სადავო კანონის მიღების დროს მოქმედი რედაქციის თანახმად, განზრახ მკვლელობა არაერთგზის ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ვადით თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით. ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობა ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტი წლამდე. ამავდროულად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის იმ დროს მოქმედი რედაქციის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელი ინიშნებოდა თითოეული დანაშაულისათვის და საბოლოო სასჯელის დანიშვნისას ხდებოდა მათი შეკრება, ხოლო ამავე კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი იყო, რომ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელთა შეჯამებისას არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ წელს.

12. ამდენად, ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც ცვლილებამდე პერიოდისათვის სასჯელად გათვალისწინებული იყო, მათ შორის, უვადო თავისუფლების აღკვეთა, ცვლილების შედეგად, მაქსიმალურ სასჯელად განისაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა. შესაბამისად, აშკარაა, რომ განხორციელებული ცვლილებების შედეგად, გარკვეულ შემთხვევებში, მოხდა სასჯელის შემსუბუქება. ხსენებული განსაკუთრებით აქტუალურია იმ პირებისათვის, რომელთაც ცვლილებებამდე მოქმედი



კანონმდებლობის ფარგლებში შეეფარდათ უვადო თავისუფლების აღკვეთა.

13. როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადებით დაცულია ისეთი კანონის უკუმაღლით გამოყენების უფლება, რომელიც ამსუბუქებს პასუხისმგებლობას და ეს განპირობებულია საზოგადოების ჰუმანიზმით ან ცვლილებამდე არსებული სასჯელის ზომის საჭიროების არარსებობით. ამრიგად, უნდა დადგინდეს, რით არის განპირობებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილში განხორციელებული ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე პასუხისმგებლობის შემსუბუქება.

14. მოპასუხის პოზიციით, ხსენებული ცვლილებით კანონმდებელს სურდა დაეზუსტებინა არაერთგზისობის ცნება. ამასთან, სადავო კანონის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ არაერთგზისობის დეფინიციის ბუნდოვანება, მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნიდა სამართალშეფარდების პროცესში. შესაბამისად, არაერთგზისობის ახალი დეფინიციის ჩამოყალიბების მიზანი იყო არსებული ბუნდოვანების აღმოფხვრა.

15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფოს პოლიტიკის სფეროა, რომელი ქმედების კრიმინალიზაციას მოახდენს და როგორ სასჯელს დააწესებს კონკრეტული ქმედების ჩადენისთვის, რადგან სწორედ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ეფექტური შესაძლებლობა, ებრძოდოს კონკრეტული ქმედებებიდან მომდინარე საფრთხეებს და მათი სიმძიმის, სერიოზულობის გათვალისწინებით მოახდინოს მათი კრიმინალიზება, ამასთან, შეარჩიოს პასუხისმგებლობის ის ზომა, რომელიც საკმარისი და ეფექტური იქნება ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებთან საბრძოლველად“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33). ამავდროულად, „ქმედების სამართალდარღვევად განსაზღვრა ნაკარნახევი საზოგადოებაში ამა თუ იმ ქცევის კორექციის საჭიროებით. შესაბამისად, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ჩადენილი ქმედების სიხშირის თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლებელია, ესა თუ ის ქმედება წარმოადგენდეს მძიმე სამართალდარღვევას, სხვა პირობებში კი, მისი დევნა ნაკლებად რელევანტური იყოს. შესაბამისად, კანონმდებელი განსაზღვრავს ქმედების საშიშროების ხარისხს და ადგენს შესაბამის სანქციებს. ამავე დროს, არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ ამა თუ იმ ქმედებისათვის გათვალისწინებული სანქციის მოცულობა მიუთითებს მისი საზოგადოებრივი საშიშროების და გასაკიცხაობის ხარისხზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო სამართალურთიერთობის მიზნებისათვის სამართალდარღვევის სიმძიმე უნდა განისაზღვროს შესაბამისი ქმედებისთვის დადგენილი პასუხისმგებლობის ზომით. კერძოდ, პასუხისმგებლობის სიმკაცრე პირდაპირ არის დაკავშირებული ქმედების უმართლობის, გასაკიცხაობის ხარისხთან და საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ პასუხისმგებლობის ზომა არის ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების პროპორციული“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-28).

16. განსახილველ შემთხვევაში კანონმდებელმა გადაწყვიტა, შეეცვალა არაერთგზისი დანაშაულის ცნება და შემოეფარგლა იგი მხოლოდ იმ დანაშაულებით, რომლებიც ჩადენილია წინათ ნასამართლევ პირის მიერ. საქმეზე წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზით იკვეთება, რომ კანონმდებელი მიზნად ისახავდა არაერთგზისი დანაშაულის ცნების დახვეწას, უკეთ ფორმულირებას. შესაბამისად, კანონმდებლის პოზიციით, სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის შეცვლილი რედაქცია უფრო სწორია და უკეთ პასუხობს საზოგადოების გამოწვევებს. აქედან გამომდინარე, ამგვარი საკანონმდებლო ცვლილება მიუთითებს კანონმდებლის პოზიციაზე, რომ უფრო ადეკვატურია ქმედების კვალიფიკაციის და შესაბამისად, პასუხისმგებლობის ზომის, შეცვლილი რედაქციით გათვალისწინებული არაერთგზისობის ცნების გამოყენებით განსაზღვრა. ამდენად, მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, კანონმდებლის მიერ ნორმის ცვლილება და ზოგიერთ შემთხვევაში, სასჯელის შემსუბუქება ნაკარნახევი იყო ცვლილებამდე არსებული შედარებით უფრო მკაცრი სასჯელის ზომის საჭიროების არარსებობით. ამრიგად, სადავო ნორმა კრძალავს ისეთი კანონის უკუმაღლით გამოყენებას, რომელიც პასუხისმგებლობას ამსუბუქებს ცვლილებამდე არსებული სასჯელის ზომის გამოყენების საჭიროების არარსებობის გამო. შესაბამისად, სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადებით განმტკიცებული უფლების შეზღუდვა.

1.4. თანაზომიერება



17. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პასუხისმგებლობის გამაუქმებელი ან შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გავრცელების უფლება არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება შეზღუდვას სათანადო კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლების პირობებში (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება №3/1/633,634 საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-34). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, შეზღუდვის კონსტიტუციურობის შეფასება ხდება თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ „უფლების მზღლუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჰეისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60). ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ რა ლეგიტიმური მიზნების მიღწევას ემსახურება სადავო რეგულაცია და რამდენად შეესაბამება იგი თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს.

18. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებს წარმოადგენს პირისათვის მის მიერ ჩადენილი ქმედებიდან მომდინარე საფრთხის ადეკვატური სასჯელის დაკისრება და პასუხისმგებლობის დამამძიმებელი კანონის უკუძალით გამოყენების პრევენცია.

19. მოპასუხე მხარემ მიუთითა, რომ ამა თუ იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელი უნდა იყოს ამ ქმედებიდან მომდინარე რისკის პროპორციული. შესაბამისად, არსებობს ინტერესი, რომ მოხდეს იმ პირისათვის ადეკვატური სასჯელის დაკისრება, რომელმაც ჩაიდინა დასჯადი ქმედება და არ შეცვლილა ამ ქმედებიდან მომდინარე საფრთხის დონე. მოპასუხის პოზიციით, პირის მიერ სადავო ნორმის მიღებამდე ჩადენილი ორი დანაშაული ინარჩუნებს იმავე საფრთხის ხარისხს, რაც არსებობდა ამ ქმედების ჩადენის მომენტში და ამაზე გავლენას ვერ მოახდენს არაერთგზისობის ცნების საკანონმდებლო დონეზე ცვლილება.

20. როგორც აღინიშნა, კანონმდებელი განსაზღვრავს სისხლის სამართლის პოლიტიკას, რაც, მათ შორის, მოიაზრებს ამა თუ იმ აკრძალული ქმედების ჩადენისათვის ადეკვატური სასჯელის ზომის დადგენას. კანონმდებლის პრეროგატივაა, შეაფასოს კონკრეტული ქმედებიდან მომდინარე საზოგადოებრივი საშიშროება და დაადგინოს მისი შესატყვისი, პროპორციული სასჯელის ზომა. ამასთან, სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრისას „სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები ვერ იქნება უსაზღვრო. როგორი სერიოზულიც არ უნდა იყოს სახელმწიფოს მოტივაცია და რაოდენ მნიშვნელოვანი სიკეთეების დასაცავად არ უნდა იღებდეს კონკრეტულ რეგულაციას, ის არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, იმოქმედოს მკაცრად კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში და უპირობოდ შეიბოჭოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით. დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში არ არსებობს მიზანი, ინტერესი, ადამიანის უფლებების დაცვის უმთავრესი მიზნის ჩათვლით, რომლის საპირწონედ სახელმწიფო აღიჭურვება ლეგიტიმური უფლებით, დაარღვიოს თუნდაც ერთეული პირების თავისუფლების უფლება (ესა თუ ის უფლება)“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33). კანონმდებელი აღჭურვილია კონსტიტუციური მანდატით, თავად განსაზღვროს ამა თუ იმ ქმედებისათვის სასჯელი ზომა, მათ შორის, შეამციროს დაწესებული პასუხისმგებლობის ზომა ან სრულად გააუქმოს ქმედების დასჯადობა. ამასთან, კანონმდებელს აღნიშნულ სფეროში აქვს გარკვეული მიხედულების ფარგლები, რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასოს საკანონმდებლო ორგანოს ამა თუ იმ გადაწყვეტილების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი.

21. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამაუქმებელი კანონის უკუძალით გამოყენების კონსტიტუციური უფლება ვრცელდება სწორედ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც კანონმდებლის გადაწყვეტილებით შემცირდა ან გაუქმდა კონკრეტული დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის ზომა. ზემოხსენებული კონსტიტუციური უფლების



მიზანმიმართულებას, პირის ქმედებაზე გავრცელდეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი იმგვარი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც განპირობებულია ამა თუ იმ ქმედების მიმართ საზოგადოების უფრო შემწყნარებლური დამოკიდებულებით ან ცვლილებამდე არსებული მკაცრი სასჯელის ფარგლებში პირთა დასჯის საჭიროების არარსებობით. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამაუქმებელი კანონის უკუძალით გავრცელების უფლების სულისკვეთებაა, რომ ადამიანებმა სრულყოფილად ისარგებლონ საზოგადოებისა და სამართლის განვითარების, პროგრესული, ჰუმანური აზროვნების იმ პოზიტიური შედეგებით, რომელიც აისახება სისხლის სამართლის პოლიტიკასა და კონკრეტული პასუხისმგებლობის ზომებზე (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-64).

22. ამდენად, ხსენებული უფლების უმთავრესი დანიშნულებაა, კანონმდებელმა არ გადაწყვიტოს წარსული ქმედებებისათვის პირების მკაცრად დასჯა იმ პირობებში, როდესაც შეცვლილი კანონმდებლობა სამომავლოდ იმავე ქმედებებისათვის შედარებით მსუბუქი პასუხისმგებლობის ზომას ითვალისწინებს. ამდენად, წარსულში დანაშაულის ჩამდენი პირების მკაცრად დასჯის ინტერესი ბუნებრივ კონკურენციასა და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადებით დადგენილ უფლებასთან. უფლების შეზღუდვა იმ მიზნით, რომ ხელყო ამ უფლებით დაცული ფუნდამენტური სიკეთე, თავად უფლების არსის საწინააღმდეგოა და, რა თქმა უნდა, უცხოა კონსტიტუციურსამართლებრივი წესრიგისათვის. ამდენად, პირის მკაცრად დასჯა ვერ გამოდგება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამაუქმებელი კანონმდებლობის უკუძალით გამოყენების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად. ხსენებული მიზნის მისაღწევად უფლების შეზღუდვის დაშვება აზრს დაუკარგავს ამ უფლების არსებობას და პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვა მის სულისკვეთებასთან.

23. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირის ადეკვატურად დასჯა, მისთვის მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრება არ შეიძლება იყოს ის ლეგიტიმური მიზანი, რომელმაც შესაძლებელია, გაამართლოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამაუქმებელი კანონის უკუძალით გავრცელების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა.

24. მოპასუხემ ასევე დაასახელა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი კანონის უკუძალით გამოყენების პრევენციის ლეგიტიმური მიზანი. ზოგადად, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი კანონის უკუძალით გამოყენების თავიდან აცილება უაღრესად მნიშვნელოვანი სიკეთეა, უფრო მეტიც, იგი იმპერატიული კონსტიტუციური მოთხოვნაა, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადებიდან. ამდენად, თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს, სადავო ნორმა რამდენად წარმოადგენს ხსენებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას. აღნიშნულისათვის აუცილებელია დადგინდეს „რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი საქართველოს პარლამენტის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანსა და სადავო ნორმებით დადგენილ უფლების შეზღუდვის ფორმას შორის – რამდენად იძლევა სადავო ნორმები დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48).

25. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველ ნაწილში განხორციელებული ცვლილება იწვევდა დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლას და ქმედება, რომელიც კვალიფიცირდებოდა არაერთგზის დანაშაულად, ცვლილებების შედეგად ითვლება დანაშაულთა ერთობლიობად. საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს, რომ რიგ შემთხვევებში სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ამა თუ იმ მუხლის სტრუქტურისა და შინაარსის გათვალისწინებით, სადავო ცვლილების მიღების დროს მოქმედი კანონმდებლობით დანაშაულთა ერთობლიობისათვის, არაერთგზისობასთან შედარებით, უფრო მძიმე სასჯელი ყოფილიყო გათვალისწინებული. ამდენად, სადავო ნორმის უკუძალით გამოყენებას შესაძლოა, გარკვეულ შემთხვევებში გამოეწვიოს პასუხისმგებლობის დამძიმება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმასა და დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანს შორის კავშირის დასადგენად უნდა შემოწმდეს, რამდენად ახდენს იგი სასჯელის დამამძიმებელი კანონის წარსულ ურთიერთობებზე გავრცელების გამორიცხვას.

26. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის (როგორც სადავო ნორმის მიღების, ასევე დღეს მოქმედი რედაქცია) თანახმად, „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს“.



აღნიშნული დანაწესი ადგენს სისხლის სამართლის ნორმების დროში მოქმედების პრინციპს და განსაზღვრავს, რომ სისხლის სამართლის კანონს უკუმაღლა აქვს მხოლოდ მაშინ, თუ ის ამსუბუქებს პასუხისმგებლობას. შესაბამისად, ნებისმიერი სისხლის სამართლის კანონის ახალი ნორმა წარსულ ურთიერთობებზე ვრცელდება მხოლოდ პასუხისმგებლობის შემსუბუქების ნაწილში და არ ვრცელდება იმ ნაწილში, რომლითაც იგი პასუხისმგებლობას ამძიმებს. სადავო ნორმით განსაზღვრული სპეციალური მითითების არარსებობის პირობებში არაერთგზისობის ახალი დეფინიცია გავრცელდებოდა იმ პირებზე, რომელთათვისაც ეს გამოიწვევდა სანქციის შემსუბუქებას და არ გავრცელდებოდა იმ პირებზე, რომელთათვისაც სანქციას დაამძიმებდა. ამდენად, სადავო ნორმას პირებისათვის სასჯელის დამძიმების გამორიცხვის ეფექტი არ გააჩნია. მისი რეგულირება შემოიფარგლება მხოლოდ არაერთგზისი დანაშაულის ახალი დეფინიციის იმ წარსულ ურთიერთობებზე გავრცელების გამორიცხვით, რომლის ფარგლებშიც ახალი კანონი სასჯელს ამსუბუქებს (სხვა ურთიერთობებზე ქმედების ჩადენის შემდეგ მიღებული კანონი თავისთავად არ ვრცელდება). აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა არ ემსახურება კანონის მიღებამდე ჩადენილ ქმედებებზე პასუხისმგებლობის დამძიმების გამორიცხვას და ამ თვალსაზრისით არ წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას.

27. ამდენად, არ იკვეთება ლოგიკური კავშირი სადავო ნორმასა და მოპასუხის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანს შორის. ამავე დროს, სასამართლო ვერ ხედავს რაიმე დამატებით მიზანს, რომელსაც შესაძლოა, სადავო ნორმა ემსახურებოდეს. „ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებებში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა წარმოადგენს უფლების შეზღუდვის თვითმიზნურ საშუალებას და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადებით გარანტირებულ უფლებას.

2. სადავო ნორმის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით

2.1. დაცული სფერო

28. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „თანასწორობის ფუნდამენტური უფლების დამდგენი ნორმა წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც ზოგადად გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1).

29. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, „თანასწორობის უფლების შეზღუდვას ადგილი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამკარაა არსებითად თანასწორი პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობა (ან არსებითად უთანასწორო პირების მიმართ თანასწორი მოპყრობა)“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბომე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-10). ამგვარად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული თანასწორობის უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირებისათვის უნდა დადგინდეს, იწვევს თუ არა სადავო ნორმა არსებითად თანასწორი პირების დიფერენცირებას. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა გამოიკვეთოს შესაძარბელი პირები.



2.2. შესადარებელ პირთა დიფერენცირება

30. მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 4 ივლისის №5196-რს კანონის ამოქმედებამდე არაერთგზისობის ცნების ქვეშ ექცეოდა როგორც ნასამართლევნი, ისე ნასამართლობის არმქონე პირის მიერ ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა. ხსენებული კანონის ამოქმედების შემდეგ კი, არაერთგზისი დანაშაული დაუკავშირდა ნასამართლევნი პირის მიერ იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას და, შესაბამისად, შემცირდა იმ სუბიექტთა წრე, რომელთა ქმედებაც კვალიფიცირდებოდა არაერთგზისი დანაშაულად და ამით მძიმდებოდა მათთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა. მოსარჩელის პოზიციით, სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის შეცვლილი რედაქციის უკუძალით გავრცელების შეზღუდვის შედეგად, მოხდა არსებითად თანასწორ პირთა გაუმართლებელი დიფერენცირება.

31. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ დიფერენცირება ხდება ნასამართლობის არმქონე იმ პირთა შორის, რომლებმაც ერთი და იგივე დანაშაული ჩაიდინეს სადავო კანონის ამოქმედებამდე და მისი ამოქმედების შემდეგ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ არაერთგზისი დანაშაულის ცნების სადავო კანონით გათვალისწინებული ცვლილება იწვევს პირის ქმედების კვალიფიკაციის შეცვლას, რაც, ცალკეულ შემთხვევაში განაპირობებს პასუხისმგებლობის შემსუბუქებას. ამავდროულად, დიფერენცირების იდენტიფიცირებისათვის მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რომ სადავო ნორმატიული აქტით ხდება პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობა. მოცემულ შემთხვევაში სადავოდ არის გამხდარი ნორმა, რომელიც ადგენს, რომ განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის დამდგენი აქტი არ გამოიყენება უკუძალით კანონის ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებთან მიმართებით. შესაბამისად, სხვადასხვა დროს ჩადენილ ქმედებებთან მიმართებით სხვადასხვა რეჟიმი მოქმედებს.

32. სამართლის წინაშე თანასწორობის უფლება არ მოითხოვს სხვადასხვა დროს მოქმედ სამართლებრივ მოწესრიგებებს შორის თანასწორობას. სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების ცვლილება, ახალი მოწესრიგების შექმნა ან ძველის გაუქმება საკანონმდებლო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ბუნებრივია, იცვლება პირთა სამართლებრივი მდგომარეობა. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებამოსილებას, გარკვეული დროის შემდეგ შეცვალოს ესა თუ ის ნორმატიული აქტი და ახლებურად მოაწესრიგოს სამართლებრივი ურთიერთობები (იხ. *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/4/1240 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). მაგალითად, განზრახ მკვლელობის ჩადენისათვის სასჯელის შემცირება და ახალი ზომის განსაზღვრა არ ნიშნავს, რომ მოხდა იმ პირთა დიფერენცირება, რომლებმაც ეს დანაშაული ჩაიდინეს ცვლილების ამოქმედებამდე და ამოქმედების შემდეგ. ამ პირთა მიმართ, იმისდა მიხედვით, თუ რომელი კანონი იყო ძალაში, ყოველთვის მოქმედებდა ერთგვაროვანი მოპყრობა. კერძოდ, ყველა პირი, რომელიც ჩაიდენდა დანაშაულს ძველი პასუხისმგებლობის ზომის ფარგლებში, ერთნაირად დაისჯებოდა იმ დროს მოქმედი წესის შესაბამისად, ხოლო ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ დანაშაულის ჩამდენი ნებისმიერი პირი დაისჯება იდენტურად ახალი წესის გამოყენებით. მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის ამგვარად დაყენება მიუთითებს, რომ იგი დავობს არა პირთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებული განსხვავებული მოპყრობის არსებობაზე, არამედ დროის სხვადასხვა მონაკვეთში არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე ერთი და იმავე პირების განსხვავებულ სამართლებრივ მდგომარეობაში ჩაყენებაზე. განსახილველ შემთხვევაში აშკარაა, რომ მოსარჩელე ერთმანეთს ადარებს არა პირთა ჯგუფებს, არამედ ერთი და იმავე პირების სამართლებრივ მდგომარეობას სხვადასხვა დროს მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე. მოსარჩელე ფაქტობრივად მიუთითებს, რომ კანონის უკუძალით გამოყენების აკრძალვა (პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი) იწვევს სამართლის წინაშე პირთა თანასწორობის უფლების შეზღუდვას. იგი დიფერენცირების დამდგენად სწორედ კანონის უკუძალით გამოყენების ამკრძალვას წესს მიიჩნევს. მოსარჩელეს ანალოგიური წარმატებით შეეძლო ედავა, რომ კანონი, რომელიც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ნორმის უკუძალით გამოყენებას კრძალავს, თანასწორობის უფლების საწინააღმდეგოა, რაც, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შინაარსის სწორი განმარტების შედეგს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის დიფერენცირება ნასამართლობის არმქონე იმ პირთა შორის, რომლებმაც ერთი და იგივე დანაშაული ჩაიდინეს სადავო კანონის ამოქმედებამდე და მისი ამოქმედების შემდეგ.

33. მოსარჩელე შესადარებელ ჯგუფებად ასევე გამოყოფს, ერთი მხრივ, ნასამართლობის არმქონე იმ პირებს, რომლებმაც ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული ჩაიდინეს სადავო კანონის ამოქმედებამდე და მისი ამოქმედების შემდეგ აღარ ჩაუდენიათ იმავე



მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, მეორე მხრივ, პირებს, რომლებმაც სადავო კანონის ამოქმედებამდე ჩაიდინეს ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული და სადავო კანონის ამოქმედების შემდეგ კვლავ ჩაიდინეს იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

34. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის №5196-რს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, ამ კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილის მოქმედება არ ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირმა ბოლო ქმედება ჩაიდინა კანონის ამოქმედების შემდგომ. ამრიგად, სადავო ნორმის მიხედვით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის შეცვლილი რედაქციით განსაზღვრული წესის წარსულ ურთიერთობაზე გავრცელების პირობად მითითებულია დანაშაულის შემადგენლობის ბოლო ქმედების ჩადენა კანონის ამოქმედების შემდეგ.

35. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძარებელ პირთა შორის დიფერენცირება იმაში გამოიხატება, რომ ნასამართლობის არმქონე პირის მიერ ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული რამდენიმე დანაშაულის სადავო კანონის ამოქმედებამდე ჩადენის შემთხვევაში ეს ქმედება კვალიფიცირდება არაერთგზის დანაშაულად, ხოლო თუ ანალოგიური სტატუსის მქონე პირმა, რომელსაც ჩადენილი ჰქონდა ერთი მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული, დამატებით ჩაიდინა იგივე დანაშაული სადავო კანონის ამოქმედების შემდეგ, მასზე გავრცელდება ახალი კანონის მოქმედება და, შესაბამისად, მისი ქმედება შეფასდება დანაშაულთა ერთობლიობად.

36. როგორც უკვე აღინიშნა, იმისდა მიხედვით, პირის მიერ ჩადენილი ქმედება შეფასდება არაერთგზის დანაშაულად, თუ დანაშაულთა ერთობლიობად, სხვადასხვა შეიძლება იყოს პირისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობის ზომა. ამასთან, სადავო ნორმით, არაერთგზისი დანაშაულის უკუძალით გავრცელება, კვალიფიკაციის ცვლილება და, შესაბამისად, პასუხისმგებლობის შემსუბუქება დამოკიდებული ხდება იმ გარემოებაზე, ჩაიდინა თუ არა პირმა დამატებით დანაშაული სადავო კანონის ამოქმედების შემდგომ. მაგალითად, სადავო კანონის ამოქმედებამდე, თუ ამ დანაშაულისათვის ნასამართლობის არმქონე პირმა ორჯერ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობა, მისი ქმედება კვალიფიცირდებოდა როგორც 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობა არაერთგზისი და ამ პირს სასჯელის ზომად შესაძლოა დაკისრებოდა, მათ შორის, უვადო თავისუფლების აღკვეთა. ამის საპირისპიროდ, თუ ანალოგიური სტატუსის მქონე პირმა სადავო კანონის ამოქმედების შემდეგ დამატებით ჩაიდინა კიდევ ერთი მკვლელობა სადავო ნორმის მიხედვით, მასზე ვრცელდება ახალი კანონის მოქმედება და მისი ქმედება შეფასდება არა როგორც არაერთგზისი დანაშაული, არამედ – როგორც დანაშაულთა ერთობლიობა. დანაშაულთა ერთობლიობისას, მათ შორის, დანიშნულ სასჯელთა სრულად შეკრების პირობებშიც კი, ამ პირისათვის დასანიშნი მაქსიმალური სასჯელი იქნებოდა ოცდაათი წლით თავისუფლების აღკვეთა (იხ. სამოტივაციო ნაწილის მე-11 და მე-12 პარაგრაფები), რაც უვადო პატიმრობასთან შედარებით, აშკარად, უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობის ზომაა.

37. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ სადავო ნორმა ამგვარ განსხვავებულ შედეგებს აყენებს იმ პირების მიმართ, რომელთაც ქმედებები ჩაიდინეს ერთსა და იმავე დროს. ხსენებულის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ სადავო ნორმა იწვევს პირთა დიფერენცირებას, რაც გამოიხატება პირთა ნაწილის ქმედებებზე სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის შეცვლილი რედაქციით გათვალისწინებული წესის უკუძალით გავრცელებასა და მის საფუძველზე შედარებით მსუბუქი პასუხისმგებლობის დაკისრებაში.

2.3. შესაძარებელ პირთა არსებითად თანასწორობა

38. თანასწორობის უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირებისას, დიფერენცირების არსებობასთან ერთად, აუცილებელია განისაზღვროს, რამდენად არიან შესაძარებელი ჯგუფები არსებითად თანასწორი სუბიექტები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან კავშირში. დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბერუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს



39. განსახილველ შემთხვევაში შესადარებელ ჯგუფებს მიეკუთვნებიან პირები, რომლებმაც ერთი და იმავე კანონის მოქმედების ფარგლებში ჩაიდინეს ორი ან მეტი დანაშაული. შესადარებელ პირებს შორის ერთადერთ განმასხვავებელს წარმოადგენს უკეთეს მდგომარეობაში მყოფი პირების მიერ დამატებით, მინიმუმ, კიდევ ერთი დანაშაულის ჩადენა. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების, განსაკუთრებით კი თავისუფლების აღკვეთის საკითხს, ნებისმიერ პირს, იმისდა მიუხედავად, თუ როდის ან რომელი კანონის მოქმედების ფარგლებში ჩაიდინა დანაშაული, აქვს თანაბარი ინტერესი, რომ ისარგებლოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი კანონით. ამავე დროს, ამა თუ იმ პირის მიერ დამატებით დანაშაულის ჩადენა არ წარმოადგენს გარემოებას, რომელიც შესაძლოა, მიუთითებდეს პასუხისმგებლობის შემსუბუქების ისეთ საჭიროებაზე, რომელიც მის მიმართ პრივილეგირებული მოპყრობის ბუნებრივ საჭიროებას გააჩენდა და, ამ თვალსაზრისით, პირთა არსებითად თანასწორობას გამორიცხავდა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის პირთა შესადარებელ წრეებს შორის ისეთი განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც სადავო ურთიერთობის მიზნებისათვის მათ არსებითად თანასწორობას გამორიცხავდა.

40. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მიზნებისათვის, შესადარებელი პირები არიან არსებითად თანასწორი სუბიექტები და სადავო ნორმა იწვევს სამართლის წინაშე თანასწორობის უფლების შეზღუდვას.

2.4. შეზღუდვის კონსტიტუციურობა

41. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლის წინაშე თანასწორობის უფლება არ არის აბსოლუტური და შესაძლებელია, დემოკრატიულ სახელმწიფოში მისი შეზღუდვა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

42. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დიფერენცირების არსებობის ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში მისი დისკრიმინაციულობის მასშტაბი იდენტური არ არის და დამოკიდებულია უთანასწორო მოპყრობის თავისებურებებზე. „ცალკეულ შემთხვევაში ის შეიძლება გულისხმობდეს ლეგიტიმური საჯარო მიზნების არსებობის დასაბუთების აუცილებლობას ... სხვა შემთხვევებში ხელშესახები უნდა იყოს შეზღუდვის საჭიროება თუ აუცილებლობა. ზოგჯერ შესაძლოა საკმარისი იყოს დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: ახალი მემარჯვენეები და საქართველოს კონსერვატიული პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5). დამკვიდრებული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „სადავო ნორმების შეფასებისას სასამართლო იყენებს რაციონალური დიფერენცირების ან შეფასების მკაცრ ტესტს. საკითხი, თუ რომელი მათგანით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ, წყდება სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის, ჩარევის ინტენსივობისა და დიფერენცირების ნიშნის გათვალისწინებით. კერძოდ, თუ არსებითად თანასწორ პირთა დიფერენცირების საფუძველია კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე ნიშანი ან სადავო ნორმა ითვალისწინებს უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევას – სასამართლო გამოიყენებს შეფასების მკაცრ ტესტს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის №2/4/603 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-8).

43. ამასთან, „მიუხედავად იმისა, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შერჩეული უნდა იქნეს რაციონალური დიფერენცირებისა თუ მკაცრი შეფასების ტესტი, ორივე მათგანის ფარგლებში, აუცილებელია, რომ სადავო ნორმით განსაზღვრულ შეზღუდვას გააჩნდეს ლეგიტიმური საჯარო მიზანი და შერჩეული საკანონმდებლო საშუალება იყოს დასახელებულ მიზანთან რაციონალურ და გონივრულ



კავშირში. დიფერენცირებული მოპყრობის გამოწვევი ღონისძიება, რომელიც დასახელებულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, ჩაითვლება თვითმიზნურად და დისკრიმინაციულად (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767,1272 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40). შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც აშკარაა, რომ დიფერენცირება არ პასუხობს რაციონალური ტესტის მოთხოვნებს, სასამართლო სადავო ნორმას არაკონსტიტუციურად ცნობს დიფერენცირების ტესტის შერჩევის გარეშე (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/2/767,1272 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

44. მოცემულ შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობის შემსუბუქებას განაპირობებს მის მიერ დამატებითი დანაშაულის ჩადენა. მაგალითად, ორი ერთნაირი დანაშაულის ჩამდენი პირი, სხვა ორი იგივე დანაშაულის ჩამდენ პირთან მიმართებით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში ექცევა იმის გამო, რომ მან სადავო ნორმის ამოქმედების შემდეგ იგივე დანაშაული მესამედ ჩაიდინა. ყოველგვარი დამატებითი მსჯელობის გარეშე, თავისთავად ცხადია, რომ მსგავს დიფერენცირებას არ გააჩნია რაიმე ლოგიკური ახსნა. შესაბამისად, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის №5196-რს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული რეგულაცია დისკრიმინაციულია და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს.

III

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2, მე-5, მე-8 და მე-11 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი, 1¹, 1², 1³, 1⁴, 1⁵, მე-2, მე-4, მე-7, მე-8, 8¹, 8², მე-11, 12¹, მე-13, მე-15 და მე-16 პუნქტების, 45-ე მუხლის საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს:

1. კონსტიტუციური სარჩელი №1365 („ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) დაკმაყოფილდეს და არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის №5196-რს კანონის მე-2 მუხლი საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით.
2. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ამ გადაწყვეტილების საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.
3. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.
5. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს უზენაეს სასამართლოს და საქართველოს მთავრობას.
6. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის შემადგენლობა:



თეიმურაზ ტულუში

ირინე იმერლიშვილი

მანანა კობახიძე

თამაზ ცაბუტაშვილი

